საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 171
1955

**5**

მაისი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი—1955

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
21 მარტი 1955 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რვაწლიან და საშუალო სკოლებთან არსებული ინტერნატების დებულება

## 1. საერთო დებულებანი

1. ინტერნატი ეწყობა რვაწლიანი და საშუალო სკოლების V-XI კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სოფლის ადგილებში ცხოვრობენ და სამი და მეტი კილომეტრით არიან სკოლიდან დაშორებულნი.

2. ინტერნატებს ხსნის და ხურავს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, ქალაქების განათლების განყოფილებათა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების წარდგენით.

3. ინტერნატი უნდა იყოს მოთავსებული სკოლასთან ახლო, ჰქონდეს შესაფერი შენობები, მოწყობილობა, სამეურნეო ნაგებობანი და ინვენტარი (დანართი № 1 და 2).

4. ინტერნატში მცხოვრები მოსწავლეები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სისტემატური სამედიცინო დახმარებით.

5. ინტერნატის გამგებლობა ეკისრება იმ სკოლის დირექტორს, რომელთანაც იგი არსებობს.

6. ინტერნატს მომსახურებას უწევს მუშაკთა სპეციალური შტატი. ინტერნატის საშტატო განრიგი და ხელფასის განაკვეთები მტკიცდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1953 წლის 21 ნოემბრის № 4780 ბრძანების № 3 დანართის შესაბამისად.

7. ინტერნატის მუშაკებს ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორი (ინტერნატის გამგე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II ინტერნატის მუშაკთა უფლება-მოვალეობანი

8. სკოლის დირექტორი ახორციელებს ინტერნატისადმი უშუალო ხელმძღვანელობას და პერსონალურად აგებს პასუხს ინტერნატის მდგომარეობასა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებაზე.

9. დირექტორის თანაშემწე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში (სამეურნეო ნაწილის გამგე) უზრუნველყოფს ინტერნატში მოსწავლეთა ცხოვრების ნორმალურ პირობებს და დაწესებული სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესრულებას; აწესრიგებს კვების საქმეს, პასუხს აგებს ინტერნატის ქონებასა და მოსწავლეთა პირადი ნივთების დაცვაზე, მატერიალური და სასურსათო ფონდის წესიერად გამოყენებაზე, სათბობის დროულად შემოზიდვისა და შენობის წესიერად შენახვაზე. თვალყურს ადევნებს თეთრეულის თავისდროზე გარეცხვის და გაცემის საქმეს; მას ექვემდებარება ინტერნატის მთელი მომსახურე პერსონალი, გარდა აღმზრდელებისა;

სამეურნეო ნაწილის გამგე უშუალოდ ექვემდებარება სკოლის დირექტორს (ინტერნატის გამგეს).

10. ინტერნატის აღმზრდელი ვალდებულია:

ა) აწარმოოს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ინტერნატში მცხოვრებ მოსწავლეებთან და გამოუმუშაოს მათ კულტურული ქცევის ჩვევები;

ბ) უზრუნველჰყოს ინტერნატში დაწესებული რეჟიმის, ქცევის წესებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნათა შესრულება მოსწავლეების მიერ;

გ) დაეხმაროს მოსწავლეებს გაკვეთილის მომზადებაში;

დ) უხელმძღვანელოს კლასგარეშე კითხვას;

ე) მოაწესრიგოს მოსწავლეთა კულტურული დასვენება;

ვ) იქონიოს მუდმივი საქმიანი კავშირი მოსწავლეთა მშობლებთან.

11. აღმზრდელი მუშაობს სკოლის დირექტორის (ინტერნატის გამგის) მიერ დამტკიცებული გეგმით და თავის მუშაობაზე პასუხს აგებს დირექტორის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. აღმზრდელი ითვლება პედაგოგიური საბჭოს წევრად და ანგარიშს აბარებს მას ინტერნატში წარმოებული აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.

13. აღმზრდელის თანამდებობაზე ინიშნებიან სკოლის მასწავლებლები შეთავსებით ან შესაფერი პედაგოგიური განათლების მქონე პირები.

14. უმცროსი მომსახურე პერსონალის უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია ინტერნატის შინაგანაწესით.

15. ინტერნატის შინაგანაწესს ადგენს სკოლის დირექტორი (ინტერნატის გამგე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი ტიპიური წესების საფუძველზე და ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგე.

## III. ინტერნატში მცხოვრებ მოსწავლეთა უფლება-მოვალეობანი

16. ინტერნატის მოსწავლეებს ინსტიტუტში ყოფნის დროს პირად სარგებლობაში ეძლევათ საწოლი, ლეიბი, ბალიში, საბანი, ორ-ორი ცალი ლოგინის თეთრეული, ორი პირსახოცი.

მოსწავლის სარგებლობაში გადაცემული ქონების დაკარგვისა და გაფუჭებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მშობლებს ან მათ შემცვლელ პირთ.

17. ინტერნატის მოსწავლეთათვის ეწყობა საერთო სამჯერადი კვება ცხელი საჭმელით, როგორც მშობლების მიერ გაღებული, ისე სკოლის ნაკვეთიდან ან დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქტებისა და ფულადი სახსრების ხარჯზე.

კვების ერთი თვის საფასური მშობლებს წინასწარ უნდა გადახდეს. გადასახადის რაოდენობას აწესებს სკოლის დირექტორი (ინტერნატის გამგე) და ამტკიცებს განათლების განყოფილება.

18. ინტერნატის მოსწავლეები ვალდებული არიან დაიცვან სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დღის რეჟიმი და შეასრულონ შინაგანაწესით დადგენილი ყველა წესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. ინტერნატის მოსწავლეები საერთო კრებაზე ნახევარი წლის ვადით ირჩევენ მამასახლისსა და მის ორ თანაშემწეს.

20. მამასახლისი და მისი თანაშემწეები აღმზრდელის ხელმძღვანელობით ატარებენ შემდეგ მუშაობას:

ა) აღწევენ ინტერნატში დაწესებული რეჟიმის შესრულებას ყველა მოსწავლის მიერ;

ბ) აწესებენ მოსწავლეთა მორიგეობას ინტერნატში;.

გ) ეხმარებიან სწავლაში ჩამორჩენილ ამხანაგებს;

დ) ინტერნატის მოსწავლეებს აბამენ სხვადასხვა წრეებში (საგნობრივი, ტექნიკური და სხვ);

ე) მამასახლისი სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის ბოლოს თავის მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს ინტერნატის მოსწავლეთა საერთო კრებას.

## IV. ინტერნატში მიღების წესები

21. მოსწავლეთა ჩარიცხვას ინსტიტუტში აწარმოებს სკოლის დირექტორი სათანადო ბრძანებით.

ინტერნატიდან გასვლა ასევე ფორმდება დირექტორის ბრძანებით, გასვლის მიზეზების აღნიშვნით.

22. მშობლებთან ან მათ შემცვლელ პირებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და წარმოებებთან, რომლებიც ინტერნატში მიღებული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ რჩენას კისრულობენ, დირექტორი სდებს ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა რჩენისათვის ფულით ან ნატურით გადასახადის პირობებს.

## V. ინტერნატის სახსრები

23. ინსტიტუტის სახსრები იქმნება:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტით დაშვებული თანხებიდან;

ბ) მოსწავლეთა რჩენის გადასახადისაგან, რომელიც შემოდის იმ მშობლებისა, ცალკეული პირებისა, ორგანიზაციებისა და წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებებისაგან, რომლებიც ინტერნატში მყოფ ბავშვებზე ზრუნვას კისრულობენ;

გ) სკოლის ნაკვეთიდან, დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის იმ ნაწილიდან, რომელიც ინტერნატს გადაეცემა;

დ) შეფწარმოებების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების სახსრებიდან.

24. დირექტორი ინტერნატის შესანახად ყოველწლიურად ადგენს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას, სათანადო გაანგარიშებითა და განმარტებითი ბარათით, რომელსაც ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

ინტერნატის კრედიტების განმკარგულებელი არის სკოლის დირექტორი (ინტერნატის გამგე).

## VI. აღრიცხვა და ანგარიშგება

25. ანგარიში ინტერნატის მუშაობის შესახებ წარედგინება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას წელიწადში ერთხელ სკოლის მუშაობის საერთო ანგარიშთან ერთად. ინტერნატის ფინანსიური ანგარიში იგზავნება იმ ვადებში და ფორმით, რაც საფინანსო ორგანოების მიერ საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის არის დადგენილი.

26. ინტერნატში, დადგენილი ფორმით, უნდა აწარმოონ:

ა) ინტერნატში მცხოვრებ მოსწავლეთა ჩასაწერი წიგნი (დანართი № 3);

ბ) საინვენტარო წიგნი;

გ) ინტერნატში მიღებულ მოსწავლეთა სარგებლობაში მიცემული ნივთების, დამხმარე სახელმძღვანელოების ჩასაწერი წიგნი, აღნიშნული ნივთების მიღებასა და დაბრუნებაზე მოსწავლეთა ხელის მოწერით.

27. ინტერნატი სარგებლობს სკოლის ბეჭდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

## რვაწლიან და საშუალო სკოლასთან არსებული ინტერნატის სათავსოთა დასახელება

1. ოთახი სასწავლო და კლასგარეშე მუშაობისათვის;
2. სასადილო;
3. საძინებელი ოთახები (ცალ-ცალკე ვაჟებისა და გოგონებისათვის);
4. პირსაბანი (ცალ-ცალკე ვაჟებისა და გოგონებისათვის;
5. საპირფარეშო (ცალ-ცალკე ვაჟებისა და გოგონებისათვის;
6. სამეურნეო ნაგებობანი და სათავსოები (სამზარეულო, პროდუქტების საკუჭნაო, სარდაფი, შეშის საწყობი და სხვა).

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როდესაც სასწავლო და კლასგარეშე მეცადინეობისათვის ცალკე ოთახების გამოყოფა შეუძლებელია, მეცადინეობა შეიძლება სასადილოში ჩატარდეს.

დანართი № 2

## ინტერნატის აუცილებელ მოწყობილობათა დასახელება

### ა) საძინებელი ოთახი

საწოლი თითოეული აღსაზრდელისათვის
ბალიში
ლეიბი
საბანი
ზეწარი 4 ცალი თითოეულ აღსაზრდელზე
ბალიშის პირი 2 ცალი თითოეულ აღსაზრდელზე
პირსახოცი ორი ცალი „ „
სკამები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანისამოსის კარადა
ტუმბები ორ კაცზე ერთი
წყლის სურა
ჭიქები
სარკე
პორტრეტები, სურათები
საოჯახო აფთიაქი
თერმომეტრი

## ბ) სასადილო

მაგიდები
მუშამბა (клеёнка) მაგიდებისათვის
სკამები
ჭურჭელი: მათლაფები და თეფშები
სუფრის კოვზები
დანები
ჩანგლები
ტოლჩები (პატარა)
ჩაის კოვზები
სამარილეები
ჩაიდნები
პორტრეტები, სურათები

## გ) კლასგარეშე მეცადინეობის ოთახი

სამელნეები
სკამები
მაგიდები
წიგნის თაროები
გეოგრაფიული და ისტორიული რუკები, გლობუსი
საათი
სამაგიდო სათამაშოები
პორტრეტები, სურათები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დ) სამზარეულო

სამზარეულო მაგიდა
წყლის სადუღებელი კუბი
პროდუქტების კარადა
ვედროები
ჭურჭელი: ქვაბები, საწური, ტაფები
სხვადასხვა კოვზები
ხორცის საჭრელები
სამზარეულო დანები
სახეხი
ჭურჭლეულობის ტაშტი
ხელსაბანები
ხელსახოცები
ჭურჭლის საწმენდი ტილოები
სკამები

### ე) პირსაბანები და საპირფარეშოები

პირსაბანი
ტანისამოსის დასაკიდი

**შენიშვნა:** აღნიშნული მოწყობილობებით ინტერნატის შევსება ხდება თანდათანობით.

დანართი № 3

## ინტერნატში მცხოვრებ მოსწავლეთა ჩასაწერი წიგნი

. . . . . . . . . სკოლა . . . . . . . . . რაიონი

| № რიგ. | მოსწავლის გვარი, სახელი მამის სახელი | კლასი | ინტერნატში ჩარიცხვის დრო | ბინის მისამართი | ინტერნატიდან გასვლის დრო | გასვლის მიზეზი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 722

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 1 აპრილი

### სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ

შეგნებული დისციპლინის დანერგვისა და განმტკიცების საქმეს, როგორც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან პირობას, განათლების ორგანოები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ. შემოწმებით დადასტურდა, რომ განათლების სამინისტროს სათანადო ბრძანებებისა და მითითებების საფუძველზე სკოლების მიერ დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელების შედეგად გაიზარდა კლასის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, დაწესდა მასწავლებლების მორიგეობა, ზოგიერთ სკოლებში (63-ე, 55-ე, 32-ე) შემოღებულ იქნა ცალკე კლასების მორიგეობა, რასაც დადებითი შედეგი მოჰყვა; ბევრ სკოლაში უზრუნველყოფილ იქნა პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

გაძლიერდა კონტროლი საზოგადოებრივ ადგილებში მოსწავლეთა მიერ წესრიგის დაცვაზე, მოსწავლეთა დისციპლინის საკითხი გახდა სკოლის პედაგოგიური საბჭოს ხშირი და საქმიანი მსჯელობის საგანი.

მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცების საქმეში დიდი დახმარება გაუწიეს სკოლებს პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა. მათ. მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა მობილიზაცია უყო როგორც სკოლის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს, ისე მოსწავლეთა მშობლებს და დარაზმა ისინი მათ წინაშე მდგარი სერიოზული ამოცანის განსახორციელებლად.

შეგნებული დისციპლინის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა მშობლების პასუხისმგებლობის გაზრდის საქმეში დიდი როლი შესრულა პრესამ, რომელმაც ბევრი მშობელი ჩააფიქრა და სერიოზული ყურადღება მიექცია და მკვეთრად გააუმჯობესებინა შვილების აღზრდის საქმე. 65-ე საშუალო სკოლაში 27 უდისციპლინო მოსწავლე იყო, რომლებიც სისტემატურად არღვევდნენ წესრიგს და ჩამორჩებოდნენ სწავლაში; აქედან 20 მოსწავლე უკვე ასწრებს ყველა საგანში, არ იგვიანებს გაკვეთილებზე, არ არღვევს წესრიგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-18 საშუალო სკოლაში, სადაც XI კლასის მოსწავლეები ბევრ მასწავლებელს არ აძლევდნენ გაკვეთილის ჩატარების საშუალებას, მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორებულია.

30-ე საშუალო სკოლაში გატარებული ღონისძიებების შედეგად მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან დღემდე ადგილი არ ჰქონია დისციპლინის უხეში დარღვევის არცერთ შემთხვევას, სკოლისა და მშობლების დახმარების შედეგად 63-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ს. კოროვკოვი და კ. მამაცაშვილი, რომელთაც წლის პირველი ნახევრის მანძილზე ყოფაქცევაში ნიშანი „3“ ჰქონდათ, უკვე აღარ არღვევენ წესრიგს; გამოსწორების გზას დაადგნენ 46-ე საშ. სკოლის უდისციპლინო მოსწავლეები თ. კუტუბიძე, ვ. მირიანაშვილი, თ. ზაქარეიშვილი რ. ყურაშვილი, ვ. კილასონია და სხვ., გარდატეხა მოხდა 57-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ჯ. ჩაჩიბაიას ყოფაქცევაში. საგრძნობლად შემცირდა მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევები მე-17 და 58-ე საშუალო სკოლებში, დისციპლინის საკითხი ძირითადად მოწესრიგებულია 67-ე და 55-ე საშუალო სკოლებში, უდისციპლინო მოსწავლეების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმით მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა 32-ე საშუალო სკოლაში. სწორი ღონისძიებების გატარებით გამოსწორდნენ აგრეთვე 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები რ. დოლიძე, გ. მიქანაძე, ნ. გელაშვილი, რომლებიც სისტემატურად იპარებოდნენ გაკვეთილებიდან და უხეშად არღვევდნენ წესრიგს, გამოსწორების გზას დაადგნენ 71-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები რ. ნამ-

გალაძე, ნ. ნადირაძე, თ. მეხუზლა, ი. კაკობაშვილი, ი. კავსაძე და ზ. შანიძე.

ერთგვარი გარდატეხის მიუხედავად, ქალაქის სკოლებში შეგნებული დისციპლინის დანერგვის მხრივ ჯერ კიდევ ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს, ბევრმა სკოლამ ვერ უზრუნველჰყო განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და მითითებების განუხრელად გატარება, ვერ გამოიყენა სასკოლო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლი ამ საქმეში, ვერ მოახერხა მშობელთა დარაზმვა სკოლის გარშემო, ვერ გაატარა სისტემატური, თანმიმდევრული, პედაგოგიურად გამართლებული ღონისძიებები სათანადო წესრიგის დასამყარებლად. ამის გამო სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ დისციპლინის უხეშად დარღვევის ფაქტებს. ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენისა და გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევები. გაკვეთილებიდან გაპარვას მასობრივი ხასიათი აქვს 47-ე, 42-ე, 92-ე საშუალო სკოლებში. მოსწავლეები თავს აფარებენ კინო-თეატრებს, მეცადინეობის საათებში ესწრებიან დღის სეანსებს, ნახულობენ მათი ასაკისათვის შეუფერებელ სურათებს. ღამის სეანსზე ადგილი აქვს 16 წლამდე ასაკის ბავშვთა მასობრივ დასწრებას. ზოგჯერ ამა თუ იმ სურათის სწორად გაგებისა და სათანადო ანალიზის უნარის უქონლობის გამო მოსწავლე სჩადის შეუფერებელ საქციელს, ბაძავს ნახულ მოქმედებას, გადმოაქვს სკოლაში, არღვევს წესრიგს. ამის შედეგად ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებსაც კი.

რიგ სკოლაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილზე წესრიგის დარღვევას, მასწავლებელთან შელაპარაკების და მისი შეურაცხყოფის ფაქტებს.

სკოლის დირექტორები სათანადო დახმარებას არ უწევენ დამწყებ მასწავლებლებს წესრიგის დამყარების საქმეში და არ ღებულობენ ზომებს სუსტი მასწავლებლების შესაცვლელად სათანადო ცენზის, გამოცდილებისა და უნარის მქონე მასწავლებლებით.

მოსწავლეები წესრიგს არღვევენ ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში, ხმაურობენ, ხმარობენ უწმაწურ სიტყვებს, არაიშვიათია

მოსწავლეთა მიერ ხულიგნური მოქმედების, სკოლის ქონების განად-გურების ფაქტები (24-ე საშუალო სკოლა).

აღრიცხულია მოსწავლეთა ბოროტმოქმედების მრავალი ფაქტი. 92-ე საშუალო სკოლაში VI[1] კლასის მოსწავლე ვ. ბაგირიანმა დანა ჩაარტყა მკლავში მოსწავლე ა. ჩინარიანს. მოსწავლეები შემჩნეული არიან დანების ტარებში, აზარტულ თამაშში, დებოშში, თეატრის და კინო-თეატრის ბილეთების გადაყიდვაში, სპეკულიაციაში და სხვა. დამნაშავენი მეტწილად უმეთვალყურო ბავშვები არიან. ქურდობის შემთხვევას ადგილი ჰქონდა 92-ე სკოლაში.

ჯერ კიდევ სუსტია სკოლისა და ოჯახის კავშირი. მშობლების დიდი ნაწილი სათანადო რეაგირებას არ ახდენს მოსწავლის მიერ წესრიგის დარღვევის, ხულიგნური მოქმედების შემთხვევებზე და არ ეხმარება სკოლას საერთო ღონისძიებების გატარებაში. ბევრ მათგანს ბავშვის აღზრდის საქმე მხოლოდ სკოლის საქმედ მიაჩნია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლის დირექტორებმა უზრუნველჰყონ განათლების სამინისტროს 1955 წლის 19 იანვრის № 180 ბრძანების განუხრელად გატარება, რისთვისაც:

ა) მიიღონ ყოველგვარი ზომა სკოლაში საქმიანი ვითარების შესაქმნელად, რათა უზრუნველყოფილ იქნას პირობები ნორმალური სწავლისა და მოსწავლეთა გონივრული დასვენებისათვის;

ბ) გააძლიერონ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა და როლი სკოლაში შეგნებული დისციპლინის დამყარების საქმეში;

გ) ფართოდ დანერგონ სკოლაში ნაცადი და გამართლებული ღონისძიება — ცალკეული კლასების მორიგეობა მთელი კვირის განმავლობაში;

დ) დააწესონ მტკიცე კონტროლი კლასის ხელმძღვანელების მუშაობაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის, დაგვიანების, გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევების აღკვეთა;

ე) შემოქმედებითად გამოიყენონ მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების ღონისძიებანი; უზრუნველჰყონ მოსწავლეთა წესების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცედ დაცვა მათი თანმიმდევრულად გატარებისა და დანერგვის გზით;

ე) ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშობელთა შორის, რათა მიაღწიონ მათ აქტიურ, საქმიან და ქმედითს დახმარებას მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის დანერგვის საქმეში;

ზ) დააწესონ მეთვალყურეობა მოსწავლეთა ქცევაზე საზოგადოებრივ ადგილებში, სანახაობათა დაწესებულებებში, ქუჩაში. დისციპლინის დარღვევის ყოველი ფაქტი გახადონ მსჯელობის საგნად და სათანადო ღონისძიების გატარებით მიაღწიონ უდისციპლინობის ლიკვიდაციას;

თ) დაამყარონ კავშირი კინო-თეატრების დირექტორებთან, რათა აღკვეთონ მეცადინეობის საათებში მოსწავლეთა დასწრება დღის სეანსებზე;

ი) აღრიცხონ განსაკუთრებით უდისციპლინო მოსწავლეები, და დააყენონ საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე მიუსჯელ ბავშვთა კოლონიაში მათი გაგზავნის შესახებ;

კ) აღრიცხონ ცალკეული კლასების მიხედვით ასაკგადაცილებული მოსწავლეები და მიიღონ სათანადო ზომები მომავალი სასწავლო წლიდან ასაკგადაცილებულთა კლასებში მათ ჩასაბმელად.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლების ხელმძღვანელებმა:

ა) დააწესონ ზუსტი კონტროლი სამილიციო უბნის საბავშვო ოთახებში მასწავლებელთა მორიგეობაზე. მასწავლებლებს, რომლებიც პირნათლად არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ამ მოვალეობას, დაადონ ადმინისტრაციული სასჯელი;

ბ) მილიციის ორგანოებთან ერთად, მშობელთა და მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობით, დროგამოშვებით მოაწყონ მასობრივი რეიდები ქუჩებში, კინო-თეატრებსა და სხვა სანახაობებში მოსწავლეთა ქცევის გასაცნობად და მიიღონ გადამჭრელი ზომები საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში მოსწავლეთა უდისციპლინობის სალიკვიდაციოდ.

3. ეთხოვოს „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოვეტაკან ჰრასტანის", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდოი სტალინეცის" და „ნორჩი ლენინელის" რედაქციებს პერიოდულად მოათავ-

სონ თავიანთი გაზეთის ფურცლებზე წერილები საბავშვო აღზრდის საქმეში მშობელთა როლის შესახებ.

ეროვნული

4. მიზანშეწონილად იქნას ცნობილი კინო-თეატრებსა და სანახაობათა დაწესებულებებში მოსწავლეთა დასწრების მოსაწესრიგებლად საქართველოს სსრ განათლებისა და კულტურის სამინისტროების ერთობლივი ღონისძიების შემუშავება.

5. დაევალოს თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. თ. მათიაშვილს სისტემატურად შეამოწმოს ქალაქის სკოლებში დისციპლინის შესახებ განათლების სამინისტროს ბრძანებათა შესრულების მიმდინარეობა და უზრუნველჰყოს ამ საქმეში სკოლებისათვის დახმარების აღმოჩენა სათანადო კონტროლის განხორციელებით.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინსტროს კოლეგიის 1955 წლის 25 მარტის დადგენილება.

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება №. 741

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 11 აპრილი

### ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმისა და ქუთაისის რაიონის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მდგომარეობის გამოკვლევის შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმისა და ქუთაისის რაიონის განათლების განყოფილებების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის საქმეში, საგრძნობლად არის გაუმჯობესებული სკოლების მატერიალური ბაზა და ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა.

ქუთაისის რაიონის ყველა სკოლა და ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის სკოლების დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით.

ქ. ქუთაისის 1-ლ, მე-4, მე-6, მე-9, მე-10; მე-18; 21-ე; ქ. ბათუმის 1-ლ, მე-4, მე-15 საშუალო სკოლებში საშეფო ორგანიზაციებისა და მშრომელთა აქტივის დახმარებით მოწყობილია სახელოსნოები, რომელშიაც შეუფერხებლად ტარდება პრაქტიკული მეცადინეობის გაკვეთილები.

ქ. ქუთაისის 1-ლ (დირექტორი ჯ. საკანდელიძე), მე-4 (დირექტორი ე. ტურძელაძე), მე-9 (დირექტორი ი. წულეისკირი), ქ. ბათუმის 1-ლ (დირექტორი დ. მახარაძე) საშუალო სკოლების სასწავლო სახელოსნოები უზრუნველყოფილია სახარატო დაზგებით და-

საწყო-იარაღებით. მოსწავლეებმა იციან დამზადებული ხისა და ლითონის დეტალებისაგან ზოგიერთი ხელსაწყოს აწყობა, გაბმული ხერხის, სალაშინის და სხვა მარტივი ხელსაწყოების სამეურნეო მომზადება-გამოყენება.

ქ. ქუთაისის 1-ლ საშუალო სკოლის სახელოსნოში მოწყობილია სანიტარული კუთხე საჭირო მედიკამენტებით და ბიბლიოთეკა· ტექნიკური ჟურნალებით, ბროშურებით და ნახაზებით. ქ. ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. მოლჩანოვი ნაყოფიერად იყენებს უფროსი კლასების მოსწავლეებს ლაბორანტებად იმ დროს როცა მათ გაკვეთილები არა აქვთ. ეს მოსწავლეები დაუფლებულნი არიან ხელსაწყო-იარაღებზე მუშაობას და წინასწარ ემზადებიან პრაქტიკული მუშაობის გაკვეთილებისათვის.

ნორმალურად ტარდება ხელგარჯილობის გაკვეთილები ქ. ქუთაისის სკოლების დიდ ნაწილში. ისინი მომარაგებული არიან პლასტილინით, თუნუქით, ხისა და სხვა საჭირო მასალით. ასევე ნორმალურად მიმდინარეობს ხელგარჯილობის გაკვეთილები ქ. ბათუმის I-ლ საშუალო და მე-16 რვაწლიან სკოლებში.

გაუმჯობესებულია კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა-შევსებისა და სწავლებაში მათი გამოყენების საქმე. მიმდინარე სასწავლო წელს ქ. ქუთაისის სკოლებისათვის შეძენილია 58 ათასი მანეთის და ქუთაისის რაიონის სკოლებისათვის 47 ათასი მანეთის ხელსაწყოები და მასალები. კარგი მუშაობით გამოირჩევიან მასწავლებლები: ფიზიკაში-ი. ხაზარაძე (ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა), გ. ჩიხლაძე (ქ. ბათუმის 1-ლი საშ. სკოლა): ქიმიაში — თ. კიკნაძე (ქ. ქუთაისის მე-2 საშ. სკოლა), ს. ვარშანიძე და ვლ. სანიკიძე (ქ. ბათუმის 1-ლი და მე-3 საშ. სკოლები); ბიოლოგიაში — ე. გიორგობიანი (ქ. ბათუმის მე-16 რვაწლ. სკოლა). ისინი მომზადებულად ატარებენ გაკვეთილებს, სწავლებას მჭიდროდ უკავშირებენ წარმოებისა და სოფლის მეურნეობის საკითხებს, ფართოდ იყენებენ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს, სასწავლო კინოფილმებს, ექსკურსიებს, გაშლილი აქვთ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. მაღალია მათი მოსწავლეების მომზადების დონე.

ფართოდ არის დანერგილი სწავლისაგან თავისუფალ დროს

კოლმეურნეობაში მოსწავლეთა შრომითი მონაწილეობა და სკოლაში მიღებული ცოდნის სასოფლო-სამეურნეო ხასიათის პრაქტიკული ჩვევებით განმტკიცება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება ექცევა კადრების გადამზადების საქმეს. სისტემატურად სწარმოებს სკოლიდან მოუწყვეტლად მასწავლებელთა გადამზადება. ხელგარჯილობაში გადამზადებულია ქ. ქუთაისის სკოლების დაწყებითი კლასების 70, ქუთაისის რაიონის — 10 და ქ. ბათუმის — 50 მასწავლებელი.

განათლების განყოფილებების მიერ შესწავლილია სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობა, საკითხი მოსმენილია საქალაქო და რაიონული აღმასკომების და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და დასახულია სათანადო ღონისძიებანი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად შესწავლილი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. მ/სასწავლო წლის I-ნახევრისათვის ქუთაისის რაიონის სკოლების 7549 მოსწავლიდან ასწრებდა 5858 (78,5%), ქ. ბათუმის სკოლების 11407 მოსწავლიდან 9073 (79,5%) ქ. ქუთაისის სკოლების 14996 მოსწავლიდან — 12165 (82%).

ზოგიერთ სკოლაში ბიოლოგიური დისციპლინების სწავლებისას არ გაუმახვილებიათ ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებებთან დაკავშირებით მეცხოველეობის განვითარების პრობლემებზე. სკოლებში არა აქვთ კოლექციები და ჰერბარიუმები. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ნორჩ ნატურალისტთა წრეები. მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია (ქ. ქუთაისის მე-II საშ. სკოლა — მასწავლებელი ი. ქარქაშაძე, ქუთაისის რაიონის საყულიის საშ. სკოლა—მასწავლებელი თ. ყუფურაძე, ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო და მე-19 რვაწლიანი სკოლები — მასწავლებლები: კლ. კალანდაძე და ს. ჩიმარიანი).

რიგი სკოლის ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლები მოუმზადებლად შედიან გაკვეთილებზე, არ ატარებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს, მოსწავლეებს არ გააჩნიათ პრაქტიკული მუშაობის სათანადო ჩვევები, არ აქვთ შეთვისებული გავლილი მასალა და ბევრი მათგანს დაუმსახურებლად აქვთ დაწერილი მაღალი ნიშნები (ქ. ქუთა-

25-ე რვაწლიანი სკოლა — ფიზიკის მასწავლებელი ა. ცხაკაია; ქ. ქუთაისის მე-2 და მე-12 საშ. სკოლები — ქიმიის მასწავლებლები ფ. ჟირვალიძე და რ. თევზაძე; ქ. ბათუმის მე-7 და მე-3 საშ. სკოლები ფიზიკის მასწავლებლები ლ. აბდულინა, ი. კოხი და შ. გვარელიძე).

კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის არ არის გამოყოფილი ოთახები, სათანადო ყურადღება არ ექცევა მათ შევსება-გამოყენებას, არსებული ხელსაწყოების და მასალების ერთი ნაწილი მოუვლელი და დაზიანებულია (ქ. ქუთაისის მე-7, მე-20; ქ. ბათუმის მე-3, მე-7 საშუალო და მე-19 რვაწლიანი სკოლები).

ქ. ბათუმის მე-7 და მე-8 საშ. სკოლებს არ აქვთ სასწავლო-საცდელი ნაკვეთი და არ ტარდება პრაქტიკული მუშაობის გაკვეთილები. ქუთაისის რაიონის, ქვიტირისა და ოფურჩხეთის საშ. სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე არ არის მოწყობილი ზოოლოგიური კუთხეები, ნაკვეთების ნაწილი დაუმუშავებელია და სარეველა მცენარეებით არის დაფარული.

ქ. ბათუმის 18-სა და ქუთაისის რაიონის 24-რვაწლიან და საშუალო სკოლებში არ არის სასწავლო სახელოსნოები. ხელგარჯილობის გაკვეთილებზე არ სრულდება პროგრამის ნაწილი, რომელიც ხესა და ლითონზე მუშაობას ითვალისწინებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმისა და ქუთაისის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ი. ბალანჩივაძე, გ. ქათამაძე, ვ. თუმანიშვილი):

1. ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების საქმეში და უზრუნველყონ აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია.

2. მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება-მითითებებით (ბრძანებები: № 5196—1953 წ. 25/XII, № 249—1954 წ. 1/II, № 178—1955 წ. 19/1 და 1955 წლის 21 მარტის მითითება) და მიაღწიონ მათ განუხრელად გატარებას.

3. გულდასმით შეისწავლონ პოლიტექნიკური სწავლების საქმეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილება და ფართოდ განაზოგადონ იგი;

4. სისტემატურად იზრუნონ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ხაზვის, პრაქტიკული მეცადინეობისა და ხელგარჯილობის მასწავლებელთა დახელოვნებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტი მასწავლებლების მუშაობას, გაუწიონ მათ მეთოდური დახმარება და სასწავლო წლის დასრულებისას, შემოწმების შედეგების მიხედვით, გაატარონ საჭირო ღონისძიებები;

5. გააძლიერონ საშეფო ორგანიზაციებისა და სკოლების ურთიერთკავშირი სასწავლო სახელოსნოების, ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა წრეების მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

6. აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნის და მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის მაღალხარისხოვნად ათვისების საქმეში;

7. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სათანადო დისციპლინის სწავლებისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობის მოსწავლეებისათვის გაცნობას და რესპუბლიკურ და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე სკოლებისა და მოსწავლეების ფართო მონაწილეობას.

II. სკოლების სამმართველომ უზრუნველჰყოს თვეში ერთხელ პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ განათლების განყოფილების გამგის, სკოლის დირექტორის და მასწავლებლის მოხსენების მოსმენა კოლეგიაზე.

III. პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებით საგნების სწავლების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის მიეთითოთ ბიოლოგიის მასწავლებლებს — ი. ქარქაშაძეს (ქ. ქუთაისის მე-2 საშ. სკოლა). ს. ჩომარიანს (ქ. ბათუმის მე-19 რვაწლიანი სკოლა);

ქიმიის მასწავლებლებს — რ. თევზაძეს, ფ. კირვალიძეს (ქ.

ქუთაისის მე-2 და მე-12 საშ. სკოლები), ფიზიკის მასწავლებლებს ლ. აბდულინას, ი. კოსს და ხ. გვარელოლლის (ქ. ბათუმის მე-7 და მე-3 საშუალო სკოლები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღინიშნოს, რომ ქ. ქუთაისის 25-ე რვაწლიანი სკოლის ფიზიკის მასწავლებელ ა. ცხაკაიას შესახებ განათლების განყოფილებამ უკვე გაატარა სათანადო ღონისძიება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 1 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 744

## По Министерству просвещения Грузинской ССР

№ 744

от 11 апреля 1955 года

### Об итогах проверки работы некоторых школ и отделов народного образования Абхазской АССР

Ознакомившись с материалами проверки работы некоторых школ и отделов народного образования Абхазской АССР, отмечаю что Министерство просвещения Абхазской АССР и некоторые отделы народного образования улучшили работу по руководству и контролю за работой школ и учителей. В текущем учебном году Министерством просвещения проведена проверка учебно-воспитательной работы в 71 школе, тематическая—в 90 школах республики, изучена работа 573 учителей, прослушано 1125 уроков; специально изучена работа абхазских и армянских школ. Результаты проверки обсуждены на заседаниях коллегии Министерства и намечены мероприятия для изжития недостатков, существующих в работе школ. В целях оказания методической помощи школам и учителям, соответствующая работа проведена Республиканским педагогическим кабинетом. Содержательную работу проводит по руководству учебно-воспитательной работой школ и учителей Гудаутский отдел народного образования (заведующий Лейба А. К.). Работники райОНО правильно анализируют состояние учебно-воспитательной работы в школах, результаты проверки обсуждаются на заседаниях совета по народному образованию и намечаются необходи-

мые мероприятия для дальнейшего улучшения работы школ и учителей.

Большинство щкол и учителей республики правильно поняло задачи, поставленные перед школами в деле повышения качества воспитания и обучения учащихся, в деле практической подготовки учащихся к жизни и осуществления политехнического обучения. Передовые преподаватели физики, химии, биологии знакомят учащихся с основами промышленности и сельского хозяйства, проводят практические занятия с учащимися в учебном кабинете и на учебно-опытном участке, организуют учебные экскурсии и др. Все школы республики (кроме г.г. Ткварчели и Гагра) обеспечены учебно-опытными земельными участками. Хорошо организована работа на учебно-опытных участках в Колхидской, Богапошской, Беслетской, Тамышской, Мерхеульской, Ганахлебской средних школах.

Хорошо владея предметом и методами его преподавания, на высоком идейно-политическом и научно-методическом уровне проводят уроки и добиваются прочных и глубоких знаний учителя грузинского языка и литературы: Гадилия А. Б. (Шромская средняя школа Сухумского района), Телия Н. Г. (Беслетская средняя школа Сухумского района), Пирцхалава М. В. (Мерхеульская средняя школа Гульрипшского района), Берулава А. М. (Ганахлебская средняя школа Гульрипшского района); учителя русского языка и литературы: Жукова Е., Александрия Е. (Гудаутская II средняя школа), Шарапова В., Кургосова А. (Хейванская II средняя школа Гагрского района), Прохорова В. Ф. (Гагрская II средняя школа). Крюкова М. Г., Еремина А. А. (Беслетская средняя школа), Шкловский М. Н. (Мерхеульская средняя школа); математики и физики: Сигуа Ш. Н. (Шромская средняя школа), Шамугия С. Л. (Беслетская средняя школа), Горозия А. С. (Ганахлебская средняя школа), Котия И. (Беслетская средняя школа), Чантурия, Гуния, Парский (Гагрская II средняя школа), Лимонова Е. И., Зелова Р.,

Колюжная А. М. (Хейванская II средняя школа); биологии и химии: Цинтурия Л., Орфеев, Солодовникова (Гагрская II средняя школа), Гергель С. С. (Гантиадская восьмилетняя школа при детдоме), Бурсулая Т. (Мерхеульская средняя школа); преподаватели истории и Конституции СССР; Мачавариани Ц. (Мерхеульская средняя школа), Аветисян (Хейванская II средняя школа), Данаев (Гудаутская II средняя школа).

Несмотря на это, в работе школ, учителей и органов народного образования имеются серьезные недочеты. Не все школы укомплектованы квалифицированными и имеющими соответствующий образовательный ценз педагогическими кадрами. Из 3159 преподавателей V—XI классов школ республики 1701 с высшим образованием, 816—с незаконченным высшим, а 641—со средним образованием. Некоторые учителя все еще не обеспечивают постановки преподавания учебных предметов на должной высоте, вследствие чего у учащихся нет прочных знаний, низка их успеваемость.

Слабо работают и не обеспечивают должной постановки преподавания предмета учителя грузинского языка и литературы: Месхия Х. О. (Беслетская средняя школа), Кардава Т. Н. (Шромская средняя школа), Векуа Л. Д., Толорая Т. Д. (Мерхеульская средняя школа), русского языка и литературы в русских школах: Рашевский (Хейванская II средняя школа), Данелян (Гагрская II средняя школа), Логинова (Гантиадская восьмилетняя школа); русского языка и литературы в нерусских школах: А. Кварацхелия, Г. Белкания (Ганахлебская средняя школа), Чаправа Н. Г. (Тависуплебская восьмилетняя школа); Гаделия П. В., Бабаян В. А. (Шромская средняя школа); немецкого языка—Асланян И. А. (Ганахлебская средняя школа); истории и конституции СССР: Ломидзе А. (Беслетская средняя школа), Кардава А. (Шромская средняя школа); математики и физики: Зарандия М. (Шромская средняя школа), Псома (Гагрская II средняя школа), Федоровский (Хейванская II средняя школа), Гур-

цкая М. (Беслетская средняя школа), Гогия Р., Эсартия Н. (Мерхеульская средняя школа), Курашвили (Гантиадская восьмилетняя школа); биологии: Рашевская Т. (Хейванская II средняя школа), Ткач П. (Гагрская II средняя школа), Ситников А. (Моквская средняя школа).

В некоторых школах пока еще слабо осуществляется политехническое обучение. Из-за отсутствия в большинстве школ хорошо оборудованных учебных кабинетов и лаборатории физики, химии и биологии, не выполняются лабораторно-практические работы и опыты, предусмотренные программой. При школах отсутствуют учебные мастерские. Руководители школ пока еще не уделяют должного внимания правильной организации проведения практических занятий на учебно-опытном участке (Хейванская II, Ахали-Киндгская, Кочарская средние, Лечкопская, Нижне-Мерхеульская, Мясниковская 8-летние и др. школы). При Хейванской II средней школе (директор Пилия Д.) участок в 2,5 га не огорожен, запущен и не используется по назначению.

Школы недостаточно обеспечены сельскохозяйственным инвентарем, а имеющиеся в некоторых школах не соответствуют возрасту учащихся.

Недостаточное внимание уделяется ручному труду в начальных классах. Школы не обеспечены нужными для этого предмета материалами.

В результате слабой постановки преподавания некоторых учебных дисциплин низка успеваемость учащихся.

Так, из 59349 учащихся школ республики во второй четверти учебного года успевало 44851 (75,5%).

В школах Гудаутского района не успевало 28,8% от общего числа учащихся, Гагрского района—25,7%, Сухумского—23,7%, Гульрипшского—23,6%. Еще более низка успеваемость по некоторым школам и классам.

В некоторых школах слабо поставлена воспитательная работа, в результате чего имеются факты грубого нарушения дисциплины учащимися, а зачастую и случаи уголовных

преступлений (Мерхеульская, Гудаутская II, Гагрская II, Сухум[illegible], II и Беслетская средние школы).

ეროვნული

Вместо должной воспитательной работы и мер педагогического воздействия, имеют место голое администрирование и массовое снижение оценок по поведению (Гагрская II средняя школа). Руководители школ несвоевременно реагируют на факты нарушения дисциплины учащимися, не делают эти факты предметом обсуждения педагогического совета, комсомольской организации и не мобилизуют внимания родительской общественности и учащихся. Вопросам воспитания учащихся и укрепления сознательной дисциплины не обращается должное внимание и со стороны отделов народного образования. Так, Сухумским горОНО не выполнено решение коллегии Министерства просвещения Абхазской АССР относительно проверки состояния дисциплины в школах гор. Сухуми и представления материалов Министерству просвещения.

В некоторых школах имеют место неправильный учет детей школьного возраста и отсев. Часто отделы Народного образования представляют в Министерство просвещения неточные и не проверенные сведения относительно невовлеченных в учебу и отсеявшихся детей школьного возраста (Гагрский и Очамчирский отделы народного образования).

Слабо поставлена в некоторых школах методическая работа. Совершенно не руководят этой работой директора и заведующие учебной частью Беслетской средней и Лечкопской 8-ми летней школ.

Все еще слабо осуществляется в школах внутришкольный контроль за работой учителей (Беслетская, Мерхеульская, Гудаутская II, Хейванская II средние и Звандрипшская 8-ми летняя школы).

В некоторых школах (Лечкопская восьмилетняя, Беслетская средняя) не обращается внимание на оформление протоколов педагогического совета. Наблюдается неправильное распределение уроков между преподавателями и неправиль-

ное составление расписания уроков (Лечкопская, восьмилетняя, Беслетская средняя школы).

Недостатки, существующие в работе школ, об'ясняются отсутствием должного руководства и помощи со стороны отделов народного образования. Отделы народного образования не проводят всесторонней проверки работы школ и часто ограничиваются лишь изучением постановки преподавания того или иного учебного предмета. Мало количество обследованных школ. Часто из-за отсутствия материалов о результатах проверки, нельзя точно установить сколько школ было обследовано (Гагрский отдел народного образования, заведующий Цаава Л. Н.). Акты о проверке школ инспекторами не составляются (Гагрский, Сухумский, Гульрипшский и Очамчирский райОНО). Составляются инспекторами лишь докладные записки о проверке школ, в которых иногда дается поверхностный анализ общих вопросов работы школ или постановки преподавания отдельных учебных предметов. Гульрипшский райОНО (Зав. райОНО Какулия А. И.) не практикует обобщение работы обследованных школ в целом на основе докладных записок отдельных инспекторов; результаты обследования не доводятся в письменном виде до сведения школ. Гагрский, Очамчирский и Сухумский отделы народного образования посылают результаты обследования школам с большим запозданием.

Плохо работают Советы по народному образованию при Гагрском, Сухумском и Очамчирском райОНО. На заседаниях Совета редко обсуждаются результаты обследования школ и другие актуальные вопросы обучения и воспитания.

Слабо работают педагогические кабинеты при Гагрском (зав. пед. кабин. Ткач П. М.) и Гульрипшском (зав. пед. каб. Курашвили Л. П.) райОНО. Они не оказывают школам нужной методической помощи, не изучают и не обобщают лучший педагогический опыт.

Министерство просвещения Абхазской АССР пока еще не проявляет должной требовательности к названным отде-

лам народного образования относительно повышения их качества руководства и контроля за работой школ и учителей.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ПРИКАЗЫВАЮ:

§—1.

Министру просвещения Абхазской АССР
тов. Герия Н. Э.:

1. Принять решительные меры к устранению отмеченных в настоящем приказе недостатков в работе органов народного образования и школ республики;

а) Обеспечить инспекторскую проверку работы всех рай (гор)ОНО и систематически оказывать им практическую помощь;

б) Повысить ответственность отделов народного образования за качество работы школ, добиться коренного улучшения внутришкольного руководства и контроля за работой учителей и повышения качества преподавания учебных предметов и успеваемости учащихся;

в) Пересмотреть состав преподавателей и с нового учебного года учителей, не обеспечивающих должную постановку преподавания предмета, заменить квалифицированными кадрами;

г) Принять решительные меры к осуществлению политехнического обучения в школах; добиться организации учебных мастерских при школах, пополнения учебных кабинетов и лабораторий и улучшения работы на учебно-опытных участках: для укрепления учебно-материальной базы школ целесообразно использовать все средства, отпущенные по бюджету на учебное и хозяйственное оборудование школ;

д) Повысить ответственность директоров (заведующих) школ и отделов народного образования за состояние воспитательной работы среди учащихся. Проверить в школах

состояние дисциплины учащихся и принять решительные меры к укреплению сознательной дисциплины;

е) Установить строгую ответственность директоров школ и заведующих отделами народного образования за выполнением закона о всеобуче;

ж) Оказать помощь органам народного образования и школам в деле подготовки к переводным и выпускным экзаменам и обеспечить проведение экзаменов на высоком уровне;

з) Развернуть работу по подготовке школ к новому учебному году и своевременно представить в Министерство просвещения Грузинской ССР план этих работ;

и) Укрепить руководство ОНО Гагрского района;

к) Результаты обследования обсудить на коллегии Министерства просвещения и наметить мероприятия по коренному улучшению учебно-воспитательной работы в школах республики;

§—2.

Управлению школ (тов. Сакварелидзе Г.) проследить за выполнением настоящего приказа.

Основание: постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 8/IV—1955 г.

Министр просвещения Грузинской ССР Г. Джибладзе

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 890

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 25 აპრილი

### საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც წარმოდგენილი მასალებით დასტურდება საბავშვო სახლების სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ 1955 წ. I კვარტალში ჩატარებულია 12 საბავშვო სახლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმება.

ზოგიერთ საბავშვო სახლში მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, შემოწმებული საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითსა და სამეურნეო საფინანსო საქმიანობაში შენიშნულია სერიოზული ნაკლოვანებანი.

სიღნაღის, ლენინგორის, ნორიოს, განთიადის და სურამის საბავშვო სახლების აღსაზრდელთა აკადემიური წარმატება არადამაკმაყოფილებელია. ლენინგორის საბავშვო სახლის 53 აღსაზრდელიდან მესამე მეოთხედის ბოლოს ვერ ასწრებდა 11 აღსაზრდელი, სიღნაღის საბავშვო სახლის 58 აღსაზრდელიდან —7, განთიადის 139 აღსაზრდელიდან —8 და ა. შ. აღნიშნული საბავშვო სახლების სამეცადინო ოთახები ღარიბია თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით. სიღნაღისა და ლენინგორის საბავშვო სახლებს არა საკმაო კავშირი აქვთ სკოლებთან.

შემოწმებულ საბავშვო სახლებს არ გააჩნიათ 7—11 წლის ასაკის აღსაზრდელთათვის პოლიტექნიკური შრომის ოთახები. არ მოეპოვებათ პოლიტექნიკური შრომის სწავლებისათვის იარაღები,

დანადგარები და საჭირო მასალები. არ ექცევა ჯეროვანი ყურადღებას აღსაზრდელთა შორის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ზოგადტექნიკური შრომის სწავლების პროგრამებით გათვალისწინებული მასალის ღრმად და საფუძვლიანად ათვისებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო სახლებთან არსებული დამხმარე მეურნეობანი არ არის გამოყენებული აღსაზრდელთა შორის სასოფლო-სამეურნეო შრომის ჩვევების დასანერგავად.

სრულიად არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა წარმოებებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ გაყვანის საქმე. 15—16 წლის და უფრო მეტი ასაკის აღსაზრდელები სწავლობენ დაბალ კლასებში, რაც პედაგოგიურად გაუმართლებელია.

ქუთაისის, ნორიოს, ლენინგორის და სიღნაღის საბავშვო სახლების სამეურნეო მატერიალური ბაზა მოუწესრიგებელია. ქუთაისის საბავშვო სახლის შენობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, აქ არ არის საკმაო რაოდენობის ფართობი, არაა დამთავრებული ცენტრალური გათბობის სამუშაოები; საბავშვო სახლი არ არის უზრუნველყოფილი წყლით, ეზო არაა კეთილმოწყობილი, მიწის ნაკვეთი დაუმუშავებელია. ნორიოს საბავშვო სახლს არ აქვს დამხმარე მეურნეობა, არაა მოწყობილი სპორტული მოედანი. ლენინგორის საბავშვო სახლის აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით. დაცული არ არის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. სიღნაღის საბავშვო სახლის აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არ არიან საკმაო რაოდენობის მაგარი და რბილი ინვენტარით.

სიღნაღის, ნორიოს, თელავის, შუამთის, ეწრის, ქუთაისის, ლენინგორის, ქურთის, განთიადის, ახალქალაქის, საჩხერის და სურამის საბავშვო სახლების მიერ 1954 წლის ბიუჯეტი შესრულებულია დარღვევებით, ადგილი აქვს გათვალისწინებული თანხების გადახარჯვებსა და აუთვისებლობას.

სიღნაღის საბავშვო სახლის დირექცია ხშირად ნაღდ ანგარიშზე აწარმოებს საქონლის შეძენას. შუამთის საბავშვო სახლის მეთეთრეულე-მეკუჭნავე ნ. ელიზბარაშვილს რევიზიის დროს დააკლდა 354 მანეთის და ზედმეტად აღმოაჩნდა 81 მანეთის პროდუქტები,

სა[illegible]ის საბავშვო სახლის მეთეთრეულე-მეკუჭნავეს დააკლდა 98 მანეთის პროდუქტები:

ბეთანიის, ნორიოსა და კოჯრის № 9 საბავშვო სახლებში არ არის დაცული სანიტარული პირობები, ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა თეთრეულის გამოცვლას. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ნორიოს საბავშვო სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურამის, შუამთის, ბეთანიის, საჩხერისა და ქუთაისის საბავშვო სახლებში დარღვეულია საბუღალტრო საბუთების გაფორმებისა და აღრიცხვის წესები; აღნიშნულ საბავშვო სახლებში არასწორად ხდება მივლინება — მიმოსვლის ხარჯების განაღდება.

ბეთანიის, ნორიოსა და კოჯრის № 9 საბავშვო სახლების დირექტორები მ. სიმონიშვილი, მ. ჭურღულაშვილი და ი. რუხაძე საბავშვო სახლების სამზარეულოს ნარჩენებით ყოველწლიურად ზრდიდნენ საკუთარ ღორებს.

თელავისა და შუამთის საბავშვო სახლების დამხმარე მეურნეობანი არარენტაბელურია.

კოჯრის № 9, სიღნაღის, საჩხერისა და ლენინგორის საბავშვო სახლების აღსაზრდელთა კვება არადამაკმაყოფილებელია.

კოჯრის № 9 საბავშვო სახლის დირექტორმა ი. რუხაძემ 1954 წლის 15 მაისს ამავე საბავშვო სახლის აღსაზრდელი ვერა ფილიფანოვა წაიყვანა ოჯახში მოსამსახურედ; საბავშვო სახლის თანამშრომელთა მიერ ზემდგომ ორგანოებში სიგნალების გაგზავნის შემდეგ, 1954 წლის 25 დეკემბერს, ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ, არსებული ინსტრუქციის დარღვევით, გააფორმა ი. რუხაძის მიერ აღსაზრდელ ვ. ფილიფანოვას შვილად აყვანა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საბავშვო სახლების დირექტორებს უზრუნველყონ ამ ბრძანებაში და ნარკვევ მასალაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსწორება.

2. თელავის საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობა, როგორც არარენტაბელური, გაუქმდეს. საბავშვო სახლის კუთვნილი ვენახი გამოყენებულ იქნეს აღსაზრდელთა სასოფლო-სამეურნეო შრომის სწავლებისათვის.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ შუამთის საბავშვო სახლის დირექტორი ვ. მიქაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო მეთეთრეულე-მეკუჭნავე ნ. ელიზბარაშვილი მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისისათვის მოხსნილია სამუშაოდან და დაკისრებული აქვს დანაკლისების ანაზღაურება.

4. წინადადება მიეცეს ყველა საბავშვო სახლის დირექტორს უზრუნველყოს ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა საბავშვო სახლებიდან გაყვანა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1954 წლის 5 აპრილის № 918 ბრძანების შესაბამისად.

5. კოჯრის № 9 საბავშვო სახლის დირექტორი ირაკლი აპოლონის ძე რუხაძე, სისტემატური დარღვევებისა და საბავშვო სახლის აღსაზრდელის თავის ოჯახში მოსამსახურედ აყვანის გამო, განთავისუფლდეს სამუშაოდან.

6. ნორიოს საბავშვო სახლის დირექტორი ზაქარია სიმონის ძე ჭურღულაშვილი იმის გამო, რომ თავი ვერ გაართვა მუშაობას, განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

გაფრთხილებული იქნენ ბეთანიის, ლენინგორის, სიღნაღის, ქუთაისის და სურამის საბავშვო სახლის დირექტორები მ. სიმონიშვილი, ქ. ნიაური, ს. ხმალაძე, ს. დონაძე, და ე. კორკოტაძე, თუ ისინი უახლოეს დროში არ გამოასწორებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

8. დაევალოს საბავშვო სახლების სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) ამ ბრძანების შესრულების შემოწმება მოახდინოს 1955 წლის IV კვარტალში და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 22 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **მ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 901

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 26 აპრილი

### საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა III სამეცნიერო-მეთოდიკური სესიის შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა III სამეცნიერო-მეთოდიკური სესია, რომელიც მიმდინარეობდა ა. წ. 14—16 აპრილს, მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა. სესიის შედეგები გარკვეულ სარგებლობას მოუტანს კათედრების როგორც სასწავლო-პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

სესიამ გამოავლინა ქართული ენის კათედრათა მიღწევები მშობლიური ენის სწავლებისა და, საერთოდ, მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა კადრების მომზადების საქმეში, სამეცნიერო-კვლევით მუშაობასა და მეთოდური ლიტერატურის შექმნის დარგში. ამავე დროს სესიამ ცხადყო ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ქართული ენის კათედრებს ახასიათებს სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის შერჩევაში კათედრათა მუშაობის კოორდინაციაში, პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზაციასა, და სტუდენტებთან მუშაობაში. სესიაზე აღინიშნა, რომ არ მოგვეპოვება ქართული ენის სახელმძღვანელოები პედაგოგიური ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლებისათვის, შედარებით ღარიბია მეთოდიკური ლიტერატურა, დაზუსტებას მოითხოვს ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სასწავლო გეგმა. აგრეთვე ქართული ენის და მისი მონათესავე საგნების პროგრამები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესიამ, რომლის მუშაობაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრებსა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი და ახალი ქართული ენის კათედრებმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ქართული ენის კათედრათა როგორც სასწავლო-პედაგოგიური, ისე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად.

ქართული ენის კათედრის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა III სამეცნიერო-მეთოდიკური სესიის მიერ მიღებული ღონისძიებანი დამტკიცდეს.

2. სესიის ანგარიშები და სესიაზე წაკითხული სამეცნიერო მოხსენებები გამოიცეს ცალკე წიგნად. საამისოდ შეიქმნას მუდმივი სარედაქციო კომისია. კომისიაში შეყვანილი იქნენ შემდეგი ამხანაგები: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე, ბ. კიზირია, გ. როგავა, რ. ღამბაშიძე, გ. შალამბერიძე, მ. ჩინჩალაძე.

დაევალოს ზემოხსენებულ კომისიას ეს წიგნი დასაბეჭდად მოამზადოს ა. წ. 1 ივლისამდე.

3. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობამ მიმდინარე წელს ცალკე წიგნად გამოსცეს უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა III სამეცნიერო-მეთოდიკური სესიის მუშაობის ანგარიში და სესიაზე წაკითხული სამეცნიერო მოხსენებები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების სამართველოს:

ა) ა. წ. 1 ივლისამდე დააზუსტოს პედაგოგიური ინსტიტუტების

ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სასწავლო გეგმა და გეგმის შესაბამისად გადაამუშაოს ქართული ენისა და სხვა დისციპლინების პროგრამები;

ბიბლიოთეკა

ბ) ყოველ წელიწადს, აპრილ-მაისში, მოიწვიოს ქართული ენის კათედრათა სამეცნიერო-მეთოდიკური სესია, როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

5. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლებისა და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის"—რედაქციებს სისტემატურად გამოაქვეყნონ სამეცნიერო-პედაგოგიური ხასიათის წერილები ქართული ენის შესახებ.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 22 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
26 აპრილი 1955 წ.

# ბავშვთა საქალაქო, რაიონული პარკის მუშაობის დებულება

## ბავშვთა პარკის ამოცანები

1. სკოლის გარეშე დაწესებულებათა საერთო ამოცანებიდან გამომდინარე ბავშვთა პარკი:

ა) ატარებს მრავალფეროვან მუშაობას პიონერებისა და მოსწავლეებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირული გზის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გასაცნობად, აცნობს ბავშვებს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და სპორტის მიღწევებს, სსრ კავშირში კომუნიზმისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებს, მშვიდობის მოყვარე ხალხთა ბრძოლას ომის გამჩაღებლებთან; აწყობს ლექციებს, საუბრებს, შეხვედრებს, გამოფენებს და ა. შ.;

ბ) აწესრიგებს მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას. იყენებს წიგნზე მუშაობის მასობრივ ფორმებს, აყალიბებს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, ეწევა ბავშვთა შორის წიგნის ფართო პროპაგანდას;

გ) აწყობს მრავალფეროვან წრეობრივ მუშაობას ტექნიკისა და შრომის, ნატურალისტური მუშაობისა და მხატვრული აღზრდის დარგში. ბავშვებისათვის მისაწვდომ ფორმებში ატარებს საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, სპორტის მიღწევების ფართო პროპაგანდას. აწყობს ლექციებს, საუბრებს ექსკურსიებს, შეხვე-

დრებს, კონფერენციებს, დისპუტებს, დათვალიერებებს, შეჯიბრე-ბებს და სხვა;

ეროვნული

დ) აწყობს ბავშვთა ჯანსაღ, გონივრულ და მხიარულ დასვენებას ატარებს სხვადასხვა დღესასწაულს, სეირნობას, კოცონებს, კინო-სეანსებს, სპექტაკლებს და ა. შ.;

ე) პარკის ტერიტორიაზე აწყობს ატრაქციონებს, სათამაშო და სპორტულ მოედნებს, სასწავლო საცდელ ნაკვეთებს, სათბურებს, ცოცხალ კუთხეებს, მეტეოროლოგიურ სადგურებს, საცურაო აუზს და შხეფებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს პავილიონებს, ლექტორი-უმს, გამოფენებს, ლაბორატორიებს და სახელოსნოებს ტექნიკური და სხვა წრეების სამუშაოდ, სათამაშო მოედანს და პავილიონს სკო-ლამდელთათვის, ღია და დახურულ კინო-დარბაზებს, თეატრებს სა-ნაოსნო, სათხილამურო, საველოსიპედო, ავტო-მოტო, ტურისტულ ბაზებს და სხვ.

## 2. თავის მუშაობას პარკი ატარებს.

ა) პარკში ინდივიდუალურად მოსულ ბავშვებთან;

ბ) სკოლებთან, საბავშვო სახლებთან, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებთან. საშუალებას აძლევს ამ დაწესებულებებს ბავ-შვებთან კოლექტურად მუშაობისას ისარგებლონ პარკის მოწყობი-ლობით და მონაწილეობა მიიღონ პარკის მიერ მოწყობილ მასობ-რივ ღონისძიებებში. ჩაატარონ სასწავლო წლის დამთავრების, და-წყებისა და მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი გეგმით გათვალისწინებული დათვალიერებანი, კონკურსები, შეჯიბრებები, ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედების გამოფენები და დღესას-წაულები, შეკრებები, კოცონები, „წიგნის კვირეული", „ფრინველ-თა დღე", „ტყის კვირეული",—სიმღერების, ცეკვების, ყვავილების დღესასწაულები, კარნავალები, საახალწლო ნაძვის ხის ზეიმები და სხვ.;

გ) მშობლებთან, უფროს პიონერხელმძღვანელებთან, მასწავლებ-ლებთან ეწევა პედაგოგიურ პროპაგანდას, ხელს უწყობს და მო-ნაწილეობას ღებულობს ბავშვთა აღზრდის საქმესთან დაკავშირე-ბულ ღონისძიებებში, რომლებსაც აწყობენ განათლების განყოფილე-ბები, პროფკავშირები, კომკავშირი და სხვ. ორგანიზაციები;

დ) პარკი მუშაობს მთელი წლის მანძილზე და მთელ თავის საქმიანობას წარმართავს საზამთრო და საზაფხულო სეზონების პირობების შესაბამისად; მაქსიმალურად იყენებს ბავშვთა შორის ჰაერზე მუშაობის ყველა შესაძლებლობას.

### 3. ბავშვთა პარკის სტრუქტურა და მუშაობის წესი:

ა) პარკის სათავეში დგას განათლების განყოფილებისა და კომკავშირის რაიკომის მიერ დანიშნული დირექტორი, რომელსაც აქვს უმაღლესი პედაგოგიური ან სხვა სპეციალური განათლება და ბავშვთა შორის მუშაობის გამოცდილება. პოლიტმასობრივ, ტექნიკურ, ნატურალისტურ, ფიზკულტურულ-სპორტულ, საექსკურსიო-სამხარეთმცოდნეო მუშაობას, მხატვრულ აზრდას, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, ლექტორიუმს, ლაბორატორიებს, სახელოსნოებს, ბაზებს და სხვ. ხელმძღვანელობენ შესაფერი განყოფილებების, ლაბორატორიებისა და სახელოსნოების გამგეები, პედაგოგიური და მასობრივი მომუშავენი;

ბ) პარკში ჩამოყალიბებულ წრეებს (სექციებს, კოლექტივებს) ხელმძღვანელობენ პედაგოგები და სხვა სპეციალისტები, პარკის ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სამეურნეო და ტექნიკური შტატი მტკიცდება სახელმწიფო საშტატო კომისიის მიერ. დროებითი შტატი რეგისტრაციაში ტარდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ფინანსიურ ასიგნობათა და შრომის ლიმიტის ფარგლებში. კონსულტაციების, ლექციების, შეხვედრების ჩასატარებლად, მეთოდური მასალების, პროგრამების დასამუშავებლად და სხვ. ღონისძიებათა ჩასატარებლად პარკი იწვევს სპეციალისტებს, ტექნიკის, ხელოვნების, სპორტის წარმომადგენლებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, ნოვატორებსა და სხვ.

4. ბავშვთა პარკი თავის მუშაობას ატარებს განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ პიონერთა რაიონულ და საქალაქო სახლებთან, აგრეთვე სხვა უწყებაში შემავალ ბავშვთა შორის სკოლისგარეშე მუშაობის ობიექტებთან კავშირში.

5. ბავშვთა პარკის დირექტორს, მოადგილეს, მასობრივ მომუ-

შავეს, წრეების ხელმძღვანელებს ნიშნავს განათლების განყოფილება, ხოლო დანარჩენ მუშაკებს პარკის დირექტორი.

6. პარკში იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომელიც წარმოადგენს დირექტორის სათათბირო ორგანოს და მუშაობს მისი თავმჯდომარეობით. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან დირექტორი, მოადგილე, წრის ხელმძღვანელები და მასობრივი მომუშავეები.

პედაგოგიური საბჭო თავის სხდომებზე იხილავს წრეების, სექციების მუშაობის საკითხებს, გეგმებს, ანგარიშებს, მოკლევადიანი ლაშქრობების გეგმებს, მარშრუტებს და ა. შ.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება მტკიცდება პარკის დირექტორის მიერ.

7. პარკი შედის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უწყებაში და მთელ თავის მუშაობას ატარებს რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილების ხელმძღვანელობით.

8. ბავშვთა პარკს აქვს იურიდიული პირის უფლება. მას შეუძლია დამტკიცებულ ასიგნობათა და ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში დადოს ხელშეკრულებანი, რაც დაკავშირებული იქნება ბავშვთა პარკის მუშაობასთან.

9. ბავშვთა პარკს გახსნილი აქვს ბანკში მიმდინარე ანგარიში, ამასთან მას აქვს შესაფერისი ნიმუშის მრგვალი ბეჭედი და შტამპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინაარსი

1. რვაწლიან და საშუალო სკოლებთან არსებული ინტერნატების დებულება . 3
2. ბრძანება № 722—სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 11
3. ბრძანება № 741—ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმისა და ქუთაისის რაიონის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მდგომარეობის გამოკვლევის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 17
4. ბრძანება № 744— აფხაზეთის ასსრ სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 23
5. ბრძანება № 890—საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 31
6. ბრძანება № 901—საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა III სამეცნიერო-მეთოდიკური სესიის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 35
7. ბავშვთა საქალაქო, რაიონული პარკის მუშაობის დებულება . . . . . . . 38

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

---

გადაეცა წარმოებას 5/V-55 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI-55 წ., ანაწყობის ზომა 6×9, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2,75, სააღრიცხვო-საგამომცემლოთა 1,8, საავტორო 1,75.

უე 05602. შეკვ. № 792, ტირაჟი 5000

---

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.